საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/38

ქ. ბათუმი

14 მარტი, 2019 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და გასაუბრების დროის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2019 წლის 05 მარტის N267523 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) ჯემალ ანანიძე (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) - კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მადონა მიქელაძე (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი) - კომისიის წევრი;
   გ) მამუკა გოგელია (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი) - კომისიის წევრი;
   დ) მარიამ მამულაძე (ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის წევრი/მდივანი.
2. გასაუბრება ჩატარდეს 2019 წლის 26 მარტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 10:00 სთ-დან (ქ. ბათუმი, ნინოშვილის N35, III კორპუსი, ოთახი N402).
3. კომისიამ იხელმძღვანელოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის“, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანებითა და წინამდებარე ბრძანებით.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე